პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 114 (1284) ○ სამშაბათი, 23 სექტემბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.



ს უ რ ა თ ზ ე: ტ. ინწკირველი ტრამპლინიდან ხტომის დროს. ქვემოთ — ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თასი.

## ლიდერობს თბილისის გუნდი

გასულ კვირას თბილისში დაიწყო წყალში მხტომელთა პირად-გუნდური შეჯიბრება ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ჯილდოზე. შეჯიბრებაში მონაწილეობს აჭარის, ქუთაისისა და თბილისის 40-მდე სპორტსმენი. გუნდების შემადგენლობაში გამოცდილ სპორტსმენებთან ერთად არიან ახალგაზრდები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ მოზარდთა შეჯიბრებებში გამოდიოდნენ.

შეჯიბრება გახსნეს ვაჟებმა სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. მათ უნდა შეესრულებინათ 4 ნახტომი. ქულათა მეტი რაოდენობა დააგროვა თბილისელმა ა. ხარჩიკიანმა — 55,11, მეორე ადგილზე აღმოჩნდა ლ. უტეშოვი (თბილისი) — 51,75. ქალთა შორის ხტომის აღნიშნულ სახეობაში ჯერჯერობით წინ მიდის სპორტის ოსტატი ტ. ინწკირველი, რომელსაც აქვს 42,94 ქულა. მას საკმაო განსხვავებით მოჰყვებიან ე. ნესტერენკო და მ. ეროიგინა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა შეჯიბრება ათმეტრიანი კოშკიდან ხტომაში. ჩინებულად შეასრულა ნახტომი სპორტის ოსტატმა მ. იუზბაშევმა. 4 ნახტომის შემდეგ იუზბაშევს აქვს 56,66 ქულა. იგი ლიდერობს შეჯიბრებას. 2,56 ქულით ჩამორჩება მას ნიჭიერი ბათუმელი წყალში მხტომელი გ. ლონლაძე. საქართველოს ჩემპიონს ს. კამოევს აქვს 53,61 ქულა და მესამე ადგილზე იმყოფება.

კოშკიდან მხტომელებმა კიდევ უნდა შეასრულონ ორი სავალდებულო და ოთხი ნებისმიერი ხტომა. ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში ძნელი სათქმელია, ერთი კი ცხადია, მაყურებლები საინტერესო სპორტული ბრძოლის მოწმენი იქნებიან.

ორი დღის შეჯიბრების შემდეგ წინ არის თბილისის პირველი გუნდი, მეორე ადგილზე არიან აჭარელი წყალშიმხტომელები.

ვ. სემიონოვი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი,
ვ. ინწკირველი.

## გათამაშების ლიდერები

მეთერთმეტე ტურში ვენდროვამ მორიგი გამარჯვება მოიპოვა ვიტკოვსკაიასთან შეხვედრაში. ამ დღეს ყურადღების ცენტრში იყო გაფრინდაშვილი-ვოიცეკის პარტია. სიცილიურ დაცვაში გაფრინდაშვილმა ენერგიული თამაშით მოიგო ორი პაიკი, მიიღო ძლიერი გამსვლელი პაიკი და მოწინააღმდეგე აიძულა დანებებოდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი ჩაიკოვსკაია ამ დღეს თეთრებით ეთამაშებოდა ტიხომიროვას, რამდენიმე არა ზუსტი თამაშით ჩაიკოვსკაიამ პარტია გადადო უიმედო მდგომარეობაში.

თერთმეტი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობს ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც 8,5 ქულა აქვს. ტიხომიროვასა და ჩაიკოვსკაიას აქვთ 7-7 ქულა და თითო გადადებული პარტია.

* * *

პოლტავის ნახევარფინალურ ჯგუფში უკვე გათამაშებული ათი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობენ საქართველოს ჩემპიონი მ. ტოგონიძე და ფილანოვსკაია, რომლებსაც 7-7 ქულა აქვთ. იგნატიევასა და რუსინკევიჩს მოგროვილი აქვთ 6,5 ქულა თვითეულს.

* * *

კიშინიოვის ნახევარფინალური ჯგუფიდან, სადაც ფინალში გასვლისათვის ჩვენი რესპუბლიკიდან გამარჯვებისათვის იბრძვის ე. კაკაბაძე, რვა ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს ლიდერობს საქართველოს წარმომადგენელი, რომელსაც მოგროვებული აქვს 6 ქულა. მეორე ადგილზეა კოგანი (5,5 ქულა). მომდევნო ადგილებზეა რუდენკო და კაცკოვა — 3 ქულა თვითეულს.

## საბჭოთა ხალხი დიდი აღმავლობით ეგებება პარტიის XXI ყრილობას

Დიდი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა ხალხი ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 5 სექტემბერს გამართული პლენუმის შესახებ და პლენუმის დადგენილებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მოწვევის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობები მუდამ წარმოადგენდა შესანიშნავ ისტორიულ მოვლენებს ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებაში. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. სოციალისტური ქვეყნებისა და მუშათა პარტიების ერთობლივ დეკლარაციაში, რომელიც მოიწონა ყველა კომუნისტურმა და მუშათა პარტიამ და ცნო საპროგრამო დოკუმენტად, ნათქვამია: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს არა მარტო დიდი მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური მშენებლობისათვის სსრ კავშირში, არამედ ამ გადაწყვეტილებებმა დასაბამი მისცეს ახალ ეტაპებს საერთაშორისო, კომუნისტურ მოძრაობაში. ხელი შეუწყვეს მის შემდგომ განვითარებას მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე".

ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელი, ჩვენი პარტიის დამაარსებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა თავის სიცოცხლეში პარტიის ყველა ყრილობას, დაწყებული პარტიის II ყრილობიდან, რომელმაც დასაბამი მისცა ბოლშევიზმს, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პარტიული ყრილობების მოწყობას სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის მომწიფებული საერთო პარტიული და საერთო სახალხო ამოცანების განხილვისა და გადაჭრისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ განვლილ დროში საბჭოთა კავშირის სოციალისტურმა ეკონომიკამ, მეცნიერებამ და კულტურამ ახალი გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ, განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ წარმატებით სრულდება.

საბჭოთა ხალხი უკვე დადგა XXI ყრილობისადმი მიძღვნილ ვახტზე, გიგანტური მასშტაბი მიიღო სოციალისტურმა შეჯიბრებამ. ცენტრალური პრესის ფურცლებზე უკვე გამოჩნდა მასალები იმ შრომითი გმირობის შესახებ, იმ საწარმოო საჩუქრების შესახებ, რომლებსაც ჩვენი გმირი ხალხი მიუძღვნის თავის საყვარელ პარტიას.

ყველას სურს ჩაებას წინასაყრილობო შრომის ფერხულში, ყველას სურს დაუმტკიცოს პარტიას თავისი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული. საერთო აღმავლობის მონაწილეთა შორის არიან ჩვენი საამაყო სპორტსმენები და ფიზკულტურელები. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. რომანოვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „ყველა რეკორდი, ყველა დიდი მიღწევა სპორტში, რომელიც ამ ხანებში მოხდება, მიეძღვნება XXI ყრილობას".

ამ მეტად საპასუხისმგებლო პერიოდში რესპუბლიკის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს შორის დიდი გამოცოცხლებაა — მიმდინარეობს მზადება საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის—საბჭოთა სპორტის ზრდისა და განვითარების გენერალური შემოწმებისათვის. ამ პერიოდში ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა და მისი დადებითად გადაწყვეტა საუკეთესო საჩუქარი იქნება სახელოვანი პარტიის XXI ყრილობისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადა მეტად გაზრდილ მოთხოვნებს აყენებს ჩვენს წინაშე, მაგრამ ჩვენ გვაქვს სათანადო გამოცდილება და თუ კოლექტიურად, უანგარო სიყვარულით მოვეკიდებით საქმეს, რესპუბლიკის ნაკრები გუნდი არა თუ შეინარჩუნებს საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადაზე მოპოვებულ შედეგებს, არამედ გაზრდის კიდევაც მათ. და რომ ამ მიზანმა ხორცი შეისხას, საჭირო იქნება მასობრივი მუშაობის კიდევ უფრო გაშლა, შეჯიბრებათა ჩატარების ახალი სისტემის ღრმად დანერგვა, საზოგადოებრივი კადრების მომზადება, ბაზების კეთილმოწყობა და გაფართოება, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების გამოვლინება, მათ ტექნიკური მონაცემების ზრდაზე შემდგომი ზრუნვა, და რაც მთავარია, სპორტსმენთა იდეურად გამოწრთობა.

ეგებებიან რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას, საბჭოთა ქვეყნის ხალხები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის — ყველა ჩვენი გამარჯვებათა ორგანიზატორის გარშემო, მისი ნაცადი შტაბის — ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც მაღლა უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა.

## გურამ მინაშვილი — ტურნირის საუკეთესო მოთამაშე

როგორც ცნობილია, „მაირანოს თასის" გათამაშება დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის გუნდების ფინალური მატჩით. ეს შეხვედრა მოიგეს საბჭოთა კალათბურთელებმა და დაიმსახურეს საპატიო თასი. თასის გადაცემის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ საბჭოთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ს. სპანდარიანმა კალათბურთის საკავშირო სექციის სახელით იტალიის ფედერაციას გადასცა სამახსოვრო თასი. ამის შემდეგ მოხდა ტურნირის საუკეთესო მოთამაშის დაჯილდოვება. სპეციალური ჯილდო საუკეთესო თამაშისათვის გადაეცა გურამ მინაშვილს.

იტალიელებმა გულთბილად მიიღეს საბჭოთა კალათბურთელების წარმატება. ცნობილმა იტალიელმა მსაჯმა რივერბერიმ ტურნირის დამთავრების შემდეგ განაცხადა: „მე ვთვლი, რომ რუსებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ ოლიმპიური თამაშების შემდეგ. მათი გამარჯვება სავსებით დამსახურებულია". იტალიის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ცალკეულ კალათბურთელებს და პირველ რიგში გ. მინაშვილს, ტორბანსა და ვალდმანისს.

## მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში

საშუალო წონაში ჩემპიონის საპატიო ტიტულისათვის იბრძოდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ტ. ლომაკინი და ამერიკელი პ. ჯორჯი. ბრწყინვალედ ჩაატარა შეჯიბრება ლომაკინმა. მან აწია 140 კგ. აიტაცა 130 კგ. და ამკრა 170 კგ. სამჭიდის ჯამში საბჭოთა ძალოსანმა დააგროვა 440 კგ. და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ამერიკელი სპორტსმენი ჯორჯი მეორე ადგილზე დარჩა. მისი შედეგია 435 კგ. მესამე ადგილი წილად ხვდა პოლონელ პალინსკის.

მომდევნო ორ წონაშიც მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ საბჭოთა ძალოსნები. ქვემძიმე წონაში ოქროს მედალი მოიპოვა ვოროზიოვმა, ხოლო მძიმე წონაში — მედვედევმა.

ამრიგად, საბჭოთა ძალოსნებმა დაიკავეს ხუთი პირველი ადგილი, ორი მეორე და დიდი უპირატესობით მოიგეს გუნდური პირველობა.

# თოთხმეტი მწვერვალის გავლით






საქართველოს ალპური კლუბის სამარშრუტო კომისიისადმი წარდგენილმა გეგმამ — ტრავერსი ფასის მთიდან თეთნულდამდე — ბევრი გააკვირვა. შეიქმნა ბჭობა და ყოყმანი. ცენტრალური კავკასიონის მთავარი ქედის ტრავერსი მოითხოვს ტექნიკურად ურთულეს ქედების — ბეზინგიის, აილამის, წურუნგალის, შავი უცნობის და სხვათა გადალახვას.

ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო გრიგოლ გულბანი. მასში შედიოდნენ: ჯ. გუგავა, ს. გუგავა და გ. თიკანაძე.

რთული ჩანაფიქრის განხორციელებას ორი პირობა უზრუნველყოფდა: კარგი ამინდი და დამხმარე ჯგუფის ენერგიული მუშაობა. პროგნოზი უიმედოდ იყო. დამხმარე ჯგუფი ე. გუგავას, ჯ. მუსელიანის, ო. ლიპარტელიანის, რ. ტვილდიანის, თ. შოთაძისა და დ. ფურელიანის შემადგენლობით ერთგულად შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

14 აგვისტოს, ლაფურის ყინვარის გავლით ქედით ავედით ფასის მთაზე, რომლის ზედაპირი იმდენად სწორი და დიდია, რომ ნიშნის პოვნა გაგვიჭირდა. აქ მოვხსენით ქუთაისელ მთამსვლელთა ბარათი, დატოვებული 1954 წელს. შემდეგ ორი დღის განმავლობაში დავიპყარით: ფასის მთა, ბარი-თაუ, უსახელო და „მარჯანიშვილი", რის შემდეგ დამხმარენი ქვევით დავუშვით, მათგან მხოლოდ დ. ფურელიანი გავიყოლიეთ. შევუტიეთ ჯერ მეორე უსახელოს და მერე „შავ უცნობს". თუ აქამდე მოძრაობა გვიხდებოდა საშუალო სირთულის ქედზე, ახლა ერთმანეთის მტკიცე დაცვით დინჯად მივიწევდით „შავი უცნობის" მართლაც შავ კლდეებზე. 19 აგვისტოს მწვერვალზე, მეხისაგან დახვრეტილ კონსერვის ქილაში გავცვალეთ მოსკოველ მთამსვლელთა ბარათი. მეტად რთული და არასასიამოვნო აღმოჩნდა მწვერვალ წურუნგალას ყინულის თხელფენიანი ქედის გადალახვა. გუშაგების გავლას და საფეხურების ჭრას ერთი დღე მოვუნდით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქედმა თავისი საშინელი ლავგარდანებით და სიგრძით ბევრი მთამსვლელი დააბრუნა უკან. ალ. ჯაფარიძის შემდეგ ის მონაკვეთი არავის გაუვლია.

ვართ წურუნგალას და აილამას შორის მდებარე უნაგირაზე. მას შემდეგ, რაც დამხმარე ჯგუფმა შეგვივსო საკვებით ზურგჩანთები, ტრავერსირებით გავედით ჩრდილო ქედზე. აქედან იწყება ტრასის ყველაზე რთული მონაკვეთი. საფეხურისებური ყინულოვანი ლოდნარების კედლებზე ორი დღის ენერგიული მუშაობით გადავლახეთ ქედი და 22 აგვისტოს 2 საათზე მწვერვალის ვეებერთელა მოედანზე მოვიხსენით ზურგჩანთები. ყინული დავადნეთ, შევსვით წყალი, ვისაუზმეთ და დავიწყეთ დაშვება ყინულის 60-გრადუსიანი დაქანების ქედზე. მძვინვარე ქარი, რომელიც მთელი მარშრუტის მანძილზე დაგვტრიალებდა თავს და ღრუბლებს ათამაშებდა, ორიენტირებას გვიზღუდავდა. აილამას დასავლეთ ქედზე დაშვებისას, უნამუსოს ქედზე გასვლამდე კლდის ნაპრალში დავამაგრეთ პალო და მასზე გამობმულ ორ თოკს გამოვყევით. ამ დროს ზევიდან გუგუნით და ზათქით დაიძრა ქვები. კულუარი, სადაც ჩვენ ვიყავით, ქვის დასაშვებ ღარს წარმოადგენდა და გასაქცევი არსად იყო. მარჯვნივ ლავგარდანია და მერე უფსკრული; მარცხნივ — გუშაგის კედელი, ქვევით კი — ღარი. გ. გულბანმა დაიყვირა: — ჩქარა გადახტით! და იმავე წამს გადაეშვა ჩრდილოეთის უფსკრულში. თოკმა დამქაჩა... რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც გამოვერკვიე, ოთხივე ძეხვებივით ჩამოკიდებულნი ზევიდან დავსცქეროდით დიხნი-აუშის ყინვარს. ქვების სეტყვამ თავზე გადაგვიარა. დაჩეჩქვილი სხეულებით ერთ საათს ვებლაუჭებოდით კლდეს და ყინულს ამოსასვლელად. დაღამებისას კულუარი უკან დავტოვეთ და თოკზე გამობმულებმა გავათიეთ ღამე.

25 აგვისტოს, დილით მოვნახეთ კარგი საბანაკო ადგილი და გამოვაცხადეთ დასვენების დღე. მეორე დღეს დამხმარე ჯგუფთან ერთად დავიპყარით მწვერვალი ნამყვამი და ისევ გავიყავით. ნამყვამიდან შხარამდე 3 დღის გზა ჟანდარმების, ლავგარდანების გავლასა და თოკზე დაშვებას მოვანდომეთ. შხარის ძირას პატარა ყინვარზე დავბანაკდით. 29-ში, ნისლის მიუხედავად, შხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ შვეულ კლდეებზე კონტრფორსით დავიწყეთ მოძრაობა. იმ დღეს 4700 მეტრზე შემოგვაღამდა. დილის სიცივემ გამოგვაღვიძა. განვაგრძეთ გზა. ცივი კლდეები შიშველ ხელებს არ იკარებდნენ, გალურჯებული თითები პატარა ჭდეებს ჩაბღაუჭებოდა და ასე ვინაცვლებთ ადგილს. ქარი ისევ ენერგიულად გვახვევს ღრუბლებს. მალე კლდეები დავტოვეთ და გავედით 70-გრადუსიანი დაქანების ყინულის ვიწრო ქედზე. ახეული საფეხურის გამოჭრამ შხარის აღმოსავლეთ წვერზე მოგვაქცია. დავიწყეთ დაშვება. ლავგარდანი ხშირად კლდეებით იცვლება, რომელიც ზოგჯერ იმდენად ციცაბო და თხელია, რომ აუცილებელია მასზე გადაჯდომა და ხელების დახმარებით, მხედრულად გადაადგილება. ამ დროს ჩვენი ოთხეული „აერთებდა" ევროპას და აზიას: კონტინენტის თხელი საზღვარი ჩვენ ქარიშხალში გადავლახეთ და სამი მწვერვალი ფეხქვეშ მოვიქციეთ. დასავლეთ წვერზე კარავი გავშალეთ, მაგრამ ძილი არ მოგვკარებია იმ ღამეს. ქარიშხალმა კარავი დაგვიხია. იგი ტანზე შემოვიხვიეთ და უხმოდ განვაგრძეთ წოლა ცის ქვეშ და ყინულის ზემოთ.

მეორე დღეს შევუტიეთ „რუსთაველს" და ჯანღას. მშრალ ფხვნილისებურ თოვლში ფეხი სრიალებს და წინ ნელა მივიწევთ. ქარიშხალი გვაიძულებს ცენტრალური ჯანღის ძირში, ყინულის პლატოზე დავდგათ კარავი. ამჟამად ვართ ექვსნი, რადგან რუსთაველის უნაგირაზე მოგვემატნენ დ. ფურელიანი და ო. ლიპარტელიანი.

2 სექტემბერს, საღამოს, ბენზინის უკანასკნელი წვეთები გვიდნობს თოვლს და თითო ჭიქა წყალი გვიკლავს წყურვილს.

3 სექტემბერი. საშინელი ქარი, თოვა და ყინვაა. გამოსვლა ყოვლად შეუძლებელია. ნისლი ხედვის საშუალებას არ იძლევა.

4 სექტემბერი. დღის 12 საათია. იძულებული ვართ თოვლით დაპრესილი კარავი ავყაროთ. მეორე დღეა, საკვები არა გვაქვს, სასმელზე ფიქრიც ზედმეტია. ავიშალეთ და ჩვენი აზრით, დასავლეთ ჯანღას შევუტიეთ, მაგრამ ნისლი ორიენტაციის საშუალებას არ გვაძლევს. 5.000-მეტრიან ფირნის პლატოზე ქარი კვალს იმ წამსვე შლის და ჩვენ თურმე ერთ ადგილს ვტკეპნით. ფეხებს სიცივის გამო ველარ ვგრძნობთ. აუცილებელია თავის შველა. ისევ გავშალეთ კარავი. სიცივეს გაათკეცებულად ვგრძნობთ. ხვალ ყოველგვარ პირობებში უნდა გავაგრძელოთ გზა. დაგვრჩა ორი საშუალო სირთულის მწვერვალი — კატინ-თაუ და თეთნულდი. ბრძოლა ისევ უშედეგოა. გზას ვერ ვარკვევთ ნისლში, ხოლო ყინვა დიდი ხნის მოძრაობის საშუალებას არ გვაძლევს. ქარი ყოველი მხრიდან გვესხმის თავს და ბუქს აყენებს.

8 სექტემბერს, რამდენიმე საათის მზადების შემდეგ, ისევ ავყარეთ კარავი და ისევ უშედეგოდ!.. კატინ თაუმ და თეთნულდმა არ მიგვიკარეს. ყოველი ჩვენგანი ხუთჯერ მაინც იქნება ნამყოფი ორივე ამ მწვერვალზე, მაგრამ ახლა სტიქიასთან მრავალდღიანმა ბრძოლამ, ენერგია გამოგვაცალა და მიუვალ სიმაგრეებად აქცია ისინი.

ამრიგად, დაგეგმილი 16 მწვერვალიდან 14 დავლაშქრეთ. ასეთი გრძელი და რთული მარშრუტი ჯერ არცერთ ალპინისტურ ჯგუფს არ გაუვლია.

გ. თიკანაძე,
სპორტის ოსტატი.





ლელო



## გორის ფიზკულტურელთა აქტივის კრებაზე

გორში, მოსწავლეთა და სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" — გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გორის სპორტსმენთა დიდი ნაწილი კარგად უფარდებს სპორტული მიღწევებისათვის ბრძოლას წესიერ ქცევასა და წარმატებებს სწავლასა და შრომაში. მაგრამ, ამასთან მათ რიგებში აღმოჩნდნენ უდისციპლინო, თავშეუკავებელი სპორტსმენებიც. მომხსენებელმა მოიყვანა მრავალი ფაქტი, რომელთა შორის აღსანიშნავია კალათბურთელ ჯ. სიდამონიძისა და მოჭიდავე ა. ბაზერაშვილის არაეთიკური საქციელი .

პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა სპორტსმენთა შორის უდისციპლინობის გამოვლინების წინააღმდეგ, ხშირად გახადონ თავიანთ კრებებზე მსჯელობის საგნად ეს საკითხი.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე თ. ზახაშვილი.

## „კოლმეურნეს" რაისაბჭოების პირველობები

### რაიონული თასი

დამთავრდა სამტრედიის რაისაბჭოს თასის გათამაშება ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდა დიდი ჯიხაიშის „წითელი ოქტომბრისა" და სტალინის სახელობის, ნინოშვილის, ჯაგნის, დაბლა გორის, ნაფალაურის ლენინისა და კეცხოველის სახელობის საკოლმეურნეო და მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდები, რომლებიც დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნაფალაურის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობისა და მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდები. შეჯიბრება მოიგეს მეფრინველეებმა, მესამე ადგილი წილად ხვდათ დიდი ჯიხაიშის „წითელი ოქტომბრის" სახელობის კოლმეურნე სპორტსმენებს.

ი. ლეკვეიშვილი

### მათი სპარტაკიადა

რამდენიმე დღეს გრძელდებოდა აბაშის რაისაბჭოს სპარტაკიადა. ქართულ და თავისუფალ ჭიდაობაში პირველი ადგილი დაიკავა ნაესაკოვოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივმა. წყემის მოჭიდავეები გამოვიდნენ მეორე ადგილზე, ხოლო ზანათის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურელები — მესამეზე. ფეხბურთში უძლიერესის სახელი მოიპოვეს ნოღოხაშის კოლმეურნე ფეხბურთელებმა.

გ. გვაზავა

**სურათებზე:** ტრავერსის სქემა. ლაშქრობის მონაწილენი. (შუაში ჯგუფის ხელმძღვანელი გ. გულბანი). ქვევით — მწვერვალი „შავი უცნობი". მოლაშქრეები მიიკვლევენ გზას. შორს მოსჩანს მდინარე ცხენისწყლის სათავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 20 | 12 | 5 | 3 | 52:26 | 29 |
| „დინამო" მ. | 21 | 13 | 3 | 5 | 40:24 | 29 |
| ცსკ მო | 21 | 9 | 8 | 4 | 40:25 | 26 |
| „ზენიტი" | 20 | 8 | 7 | 5 | 38:31 | 23 |
| „ლოკომოტივი" | 19 | 8 | 6 | 5 | 37:27 | 22 |
| „შახტიორი" | 19 | 9 | 3 | 7 | 21:24 | 21 |
| „ტორპედო" | 21 | 6 | 8 | 7 | 49:42 | 20 |
| „დინამო" კ. | 18 | 5 | 8 | 5 | 31:26 | 18 |
| „კრ. სოვეტოვი" | 19 | 5 | 6 | 8 | 21:26 | 16 |
| „დინამო" თბ. | 20 | 7 | 2 | 11 | 31:53 | 16 |
| „მოლდოვა" | 19 | 2 | 8 | 9 | 22:38 | 12 |
| „ადმირალტ." | 21 | 3 | 0 | 18 | 21:61 | 6 |

* * *

მოსკოვი. 18 სექტემბერი. აქ მორიგ კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და „მოლდოვა" (კიშინიოვი). გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

* * *

მოსკოვი. 19 სექტემბერი. „ლოკომოტივისა" და „სპარტაკის" ფეხბურთელთა შეხვედრა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე დამთავრდა ფრედ — 2:2.

* * *

მოსკოვი. 20 სექტემბერი. „ტორპედომ" მიიღო კიევის „დინამო" და დაამარცხა იგი ანგარიშით — 2:1.

* * *

ლენინგრადი. 20 სექტემბერი. კუიბიშევის „კრ. სოვეტოვმა" მორიგი მატჩი გამართა ლენინგრადში ადგილობრივ „ზენიტთან". შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა ანგარიშით — 2:1.

## კომბინაციურად, მაღალ ტემპში

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 21 სექტემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (სტალინო) — 2:0 (1:0).

„შახტიორი" — ჩანოვი; შუმილინი, კრივენკო, ალიაბევი; ალპატოვი, სამოილოვი; საპრონოვი (როსიხინი), ბობოშკო, ფედოსოვი, ზახაროვი, პონომარენკო.

„დინამო" — კვაჭაძე; ჩოხელი, სიჭინავა, უსტაბაშიძე; კოტრიკაძე, ღოღობერიძე; გაგნიძე (დალაქიანი), ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

მსაჯი მ. ეპიხინი (მოსკოვი).

მასპინძლები მეორე წრეში მატჩების ცუდად ჩატარების გამო აშკარად საშიშ ზონაში მოექცნენ, ხოლო მათ სტუმრებს საპრიზო ადგილის მოპოების შანსები ჰქონდათ, ამიტომ ორი ქულა მეტად საჭირო იყო ორივე გუნდისათვის. თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე, სწრაფ ტემპში დაიწყო. თბილისელები ჯობნიდნენ დონბასელ ფეხბურთელებს და მალე მოედნის სრული ბატონ-პატრონი შეიქნენ. რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის კარზე, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს, რაშიც მთავარი დამნაშავე იყო მათი ცენტრალური თავდამსხმელი მელაშვილი.

მეთხე წუთზე იამანიძე-მესხის კომბინაციის შემდეგ ბურთი მიიღო მელაშვილმა, რომელმაც ოთხიოდე მეტრიდან „მოახერხა" მისი ძელს ზემოთ გაშვება. შემდეგ, დროის მცირე მონაკვეთში კიდევ ორჯერ დაჰკარგა ანგარიშის გახსნის აშკარა შესაძლებლობანი. არაფერს ვიტყოდით, რომ იგი მხოლოდ ამით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მან შემდეგში გოლის გატანის კიდევ რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენა ისეთ დროს, როცა ხელს არავინ უშლიდა. ცენტრალური თავდამსხმელის ამგვარმა უინიციატივობამ უარყოფითად იმოქმედა კოლექტივზე.

თბილისელმა ფეხბურთელებმა პირველი ნახევარი საკმაოდ მაღალ ტემპში ჩაატარეს. თამაშობდნენ კომბინაციურად, დროულად გადიოდნენ ბურთზე, მოწინააღმდეგეს არ აძლევდნენ მისი თავისუფლად მიღების საშუალებას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ნახევარმცველები და მცველები. მე-19 წუთზე სწორედ დაცვის ხაზმა შეძლო მოწინააღმდეგის კარის აღება, როცა ღოღობერიძემ თავისუფალი დარტყმიდან ბურთი მიაწოდა გარღვევაზე გასულ ჩოხელს, რომელმაც დაასწრო მეკარეს და გახსნა ანგარიში — 1:0.

მარცხენა მცველ უსტაბაშიძის თამაში ამ დღეს პირველად ნახეს ფეხბურთის მოყვარულებმა და უნდა ითქვას, რომ მან შესანიშნავად ჩაატარა მთელი მატჩი, გასაქანს არ აძლევდა ისეთ საშიშ მოწინააღმდეგეს, როგორიც საპრონოვია, ხოლო შემდეგ როსიხინს, რომელმაც შეცვალა საპრონოვი. ამასთან ყოველთვის წარმატებით ეხმარებოდა პარტნიორებს საშიშროების უვნებელყოფაში. ქების ღირსი არიან ა. კოტრიკაძე და მესხი. ეს უკანასკნელი ყველასაგან გამოირჩეოდა ენერგიული თამაშით, შესანიშნავი ფინტებითა და დროული გარღვევებით.

მატჩის მეორე ნახევრის 36-ე წუთზე გაგნიძე შეცვალა დალაქიანმა, რომელმაც მოხდენილად აუარა გვერდი ალიაბევს და კართან ზუსტად მიაწოდა ბარქაიას. თბილისელთა მარჯვენა შუამარბს თვითონ შეეძლო გაეტანა გოლი, რადგან იგი კარიდან ათიოდე მეტრის დაშორებით იდგა, მაგრამ ამჯობინა მიეწოდებინა იამანიძისათვის, რომელსაც ასევე არავინ უშლიდა ხელს. იამანიძემ ნელი და ზუსტი დარტყმით გაიტანა მეორე გოლი.

მართალია, სტუმრებმა დაკარგეს მათთვის მეტად საჭირო ორი ქულა, მაგრამ შეხვედრა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარეს. მეშახტეთა თავდასხმის ხაზმა, რომელსაც კარგად ეხმარებოდნენ ნახევარმცველები, არა ერთი სახიფათო მომენტი შექმნეს მასპინძლების საჯარიმო მოედანზე, თუმცა თბილისელთა კარის აღება ვერ მოახერხეს დინამოელთა მცველების და მეკარე კვაჭაძის კარგი თამაშის გამო.

მატჩი მოიგო თბილისის „დინამომ" ანგარიშით 2:0.

## 1:0

წვიმის შემდეგ თბილისის „დინამოს" სტადიონის სველი მოედანი თბილისის სკვო-სა და ქუთაისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს საშუალებას არ აძლევდა ეთამაშნათ დიდი სისწრაფით მატჩში, რომელიც გუშინ ჩატარდა.

თამაშის პირველ ნახევარში ანგარიშის გახსნისათვის ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს არმიელებმა ივანოვმა და მიქაძემ, ხოლო ქუთაისელი კახიანის მიერ სამი მეტრის მანძილიდან ღია კარში დარტყმულ ბურთს მიუსწრო არმიელმა გრიშინმა და იხსნა გუნდი გოლისაგან.

შესვენების შემდეგ მასპინძლები უფრო შეწყობილად, გააზრებულად თამაშობდნენ. ერთი-ორი გადაცემის შემდეგ გარღვევაზე გაყავდათ პარტნიორები, სტუმრები კი ბურთის ტარებით უფრო ერთობოდნენ, რაც არმიელთა დაცვას საგრძნობლად უადვილებდა ფუნქციებს. შემდეგში სტუმრებს თანდათან დაეტყოთ დაღლილობა, დაირღვა ურთიერთშეთანხმება რგოლებს შორის, რითაც კარგად ისარგებლეს თბილისელებმა. შუა ტაიმში მარცხენა ფლანგზე გადანაცვლებულმა მიქაძემ გვერდი აუარა პეტრიაშვილს, კარის გასწვრივ ჩააწოდა ბურთი, რომელსაც მიუსწრო კურტანიძემ და შორიდან ძლიერი, ზუსტი დარტყმით გაიტანა ერთადერთი ბურთი.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით — 1:0.

## საქართველოს პირველობა

### საბოლოო ცხრილი

#### II ჯგუფი I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლენინის სახ. შახტი ტყიბული | 16 | 11 | 3 | 2 | 32:16 | 25 |
| „სპარტაკი" საჩხერე | 16 | 9 | 2 | 5 | 29:24 | 20 |
| წულუკიძე ნაკრები | 16 | 8 | 3 | 5 | 36:21 | 19 |
| „იმერეთი" ზესტაფონი | 16 | 6 | 4 | 6 | 33:22 | 16 |
| „ცისკარი" ბათუმი | 16 | 5 | 5 | 6 | 19:21 | 15 |
| „სალხინო" გეგეჭკორი | 16 | 4 | 7 | 5 | 26:28 | 15 |
| ადგ. მრეწვ. სამმ. ქუთაისი | 16 | 4 | 4 | 8 | 22:32 | 12 |
| „განათლება" დიდი ჯიხაიში | 16 | 4 | 4 | 8 | 20:31 | 12 |
| „განთიადი" წყალტუბო | 16 | 3 | 4 | 9 | 13:40 | 10 |

* * *

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" ცხაკაია | 16 | 11 | 4 | 1 | 40:17 | 26 |
| „კოლხიდა" ხობი | 16 | 7 | 6 | 3 | 26:17 | 20 |
| გუდაუთა ნაკრები | 16 | 9 | 0 | 7 | 27:33 | 18 |
| „კოლმეურნე" ოჩამჩირე | 16 | 7 | 3 | 6 | 27:28 | 17 |
| გაგრა | 16 | 5 | 5 | 6 | 25:21 | 15 |
| „განთიადი" ტყვარჩელი | 16 | 7 | 1 | 8 | 19:20 | 15 |
| „ბახმარო" ჩოხატაური | 16 | 5 | 4 | 7 | 24:36 | 14 |
| „განთიადი" ბათუმი | 16 | 5 | 2 | 9 | 27:28 | 12 |
| „კოლმეურნე" გალი | 16 | 3 | 1 | 12 | 20:37 | 7 |

#### III ზონა (21 სექტემბრისათვის)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორთქლ. ვაგ. შემკ. ქარხ. თბ. | 15 | 9 | 4 | 2 | 36:20 | 22 |
| ადგ. მრეწვ. სამ. თბილისი | 16 | 8 | 4 | 4 | 34:20 | 20 |
| „ტორპედო" თბილისი | 15 | 7 | 4 | 4 | 32:26 | 18 |
| „კოლმეურნე" ბოლნისი | 16 | 6 | 6 | 4 | 24:24 | 18 |
| ახ. ფეხ. სკ. თბილისი | 16 | 6 | 3 | 7 | 25:20 | 15 |
| „დურუჯი" ყვარელი | 16 | 4 | 6 | 6 | 22:31 | 14 |
| „კოლმეურნე" გურჯაანი | 16 | 3 | 7 | 6 | 25:31 | 13 |
| „ჩანჩქერი" ბორჯომი | 16 | 5 | 3 | 8 | 18:26 | 13 |
| „ლოკომოტივი" ხაშური | 16 | 3 | 3 | 10 | 19:37 | 9 |

* * *

#### IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოფიცერთა სახ. I თბილისი | 12 | 9 | 3 | 0 | 52:5 | 21 |
| შახტი № 1 ახალციხე | 12 | 8 | 2 | 2 | 32:11 | 18 |
| „მშენებელი" რუსთავი | 12 | 8 | 2 | 2 | 22:20 | 18 |
| „წინანდალი" თელავი | 12 | 5 | 1 | 6 | 26:31 | 11 |
| „თრიალეთი" წალკა | 12 | 2 | 4 | 6 | 6:20 | 8 |
| „ლოკომოტივი" გურჯაანი | 12 | 1 | 2 | 9 | 13:37 | 4 |
| „კოლმეურნე" ქარელი | 12 | 1 | 2 | 9 | 9:36 | 4 |

* * *

ამრიგად, ზონებში გამარჯვებული ოთხი გუნდი: ლენინის სახელობის შახტი (ტყიბული), „სპარტაკი" (ცხაკაია), ორთქლ. ვაგ. შემკეთ. ქარხანა (თბილისი) და ოფიცერთა სახლი I (თბილისი) ფოთში ჩაატარებენ ფინალურ შეჯიბრებას ქულობრივი სისტემით, ერთ წრედ. ფინალურ თამაშებში პირველ და მეორე ადგილზე გამოსული გუნდები 1959 წელს გადაყვანილ იქნებიან პირველ ჯგუფში. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე გუნდმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, მათ შორის ინიშნება დამატებითი შეხვედრა.

* * *



ძირეულ-ფიზკულტურულ კოლექტივებში ფიზორგები ხალისით აცნობენ საქართველოს II სპარტაკიადის დებულებას, უხსნიან მის თავისებურებებს.

სურათზე: ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ფიზინსტრუქტორი ვ. მიქაძე შესვენების დროს მუშებს აცნობს საქართველოს II სპარტაკიადის დებულებას.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

14 სექტემბერს თბილისში ჩატარდა ტ. ტ. ს-ის და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრა. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

სტალინირში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და სოხუმის „დინამო", მასპინძლებმა დიდი ალმაცლობით ჩაატარეს მატჩი და მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება 3:2.

დაძაბულად მიმდინარეობდა სტალინირშივე ადგილობრივი „სპარტაკისა" და ტტს-ის მატჩი. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 1:0.



# ლაშქრობა

# მდინარე

# ანგარაზე

ჩვენს ტურისტებს უკვე აღარ აკმაყოფილებთ საბაიდარო ლაშქრობა მტკვარზე. მათი ტექნიკა გაიზარდა იმდენად, რომ საჭირო გახდა სამოქმედო ასპარეზის გაზრდა, მეტ წინააღმდეგობათა დაძლევა, მშობლიური მხარის უკეთ შესწავლა.

ტურიზმის რესპუბლიკურმა სექციამ გასულ წელს ოთხი ვარიანტი შეიმუშავა: ლაშქრობა ლენინგრადიდან თეთრ ზღვამდე, მდინარე ურალზე, მდინარე ობზე ან მდინარე ანგარაზე. არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა.

მზადებასა და წვრთნაში რამდენიმე თვემ განვლო. საქართველოს სპორტსმენთა ძალების უკანასკნელი შემოწმება მოხდა თბილისიდან მინგეჩაურამდე „განთიადის“ მიერ ჩატარებულ საბაიდარო ტურისტულ ლაშქრობაში, სადაც მონაწილეებმა ცხადყვეს, რომ ისინი მზად არიან მძიმე წინააღმდეგობათა დასაძლევად.

ციმბირში გასამგზავრებლად მზად იყო 14 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი.

ბაიდარები და სხვა საჭირო ინვენტარი ადრევე დაიძრა ირკუტსკისაკენ, სადაც დანიშნული იყო ლაშქრობის საწყისი პუნქტი. რამდენიმე დღის შემდეგ გაემგზავრნენ სპორტსმენებიც. ტურისტები ერთ დღეს დარჩნენ მოსკოვში, ტურისტთა კლუბში გაეცვნენ ანგარაზე ჩაშლილი წინა ორი საბაიდარო ლაშქრობის მასალებს. პირველმა ჯგუფმა, რომელიც მოსკოველი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, ტექნიკურად რთული პირობების გამო სვლა შეწყვიტა 65 კილომეტრის გავლის შემდეგ, 300 კილომეტრით მეტი განვლო მოსკოველ ტურისტთა მეორე ჯგუფმა, მაგრამ ვერც მან შეძლო საბოლოო პუნქტამდე მიღწევა. მართალია, 1956 წელს ირკუტსკის დოსააფის სპორტსმენებმა პირველად დაძლიეს 620 კილომეტრი ბრატსკამდე, მაგრამ არა ბაიდარებით, არამედ ჩვეულებრივი ნავებით, რომელსაც გაცილებით მეტი მდგრადობა აქვს მდინარის ტალღებში.

... მატარებელი ირკუტსკის სადგურზე გაჩერდა. ადგილობრივ სპორტსმენთა გულთბილი შეხვედრის და სამახსოვრო ვიმპელების გაცვლის შემდეგ, ქართველმა სპორტსმენებმა მასპინძლებს თავიანთი გეგმები გაუზიარეს.

როგორც ცნობილია, მდინარე ანგარა გამოედინება მსოფლიოში ყველაზე ღრმა ბაიკალის ტბიდან (983 მ), რომელიც ზღვის დონიდან 468 მეტრზე მდებარეობს. ამ ტბის ტემპერატურა ყველაზე ცხელ დღეებშიც კი არ აღემატება 8-10 გრადუსს. ამიტომაც ლაშქრობის დროს ბაიდარის გადაბრუნებისა და გაუთვალისწინებელი „შხაპის“ მიღებისას თავის დაზღვევის მიზნით ლაშქრობის მონაწილეებმა გადაწყვიტეს გარკვეული დრო დაეთმოთ აკლიმატიზაციის— ანგარის წყალთან „დაახლოებისათვის“.

მეორე დღეს წყლის ტრამვაიმ გუნდი ირკუტსკიდან ბაიკალამდე აიყვანა და სპორტსმენებმა დაუყოვნებლივ მიიღეს პირველი „ნათლობა“ — რამდენჯერმე იბანავეს ცივ ტბაში, ხოლო შემდეგ მდინარის ტალღებს შეებრძოლნენ.

ამ პერიოდში გაეცვნენ ისინი ირკუტსკის ღირსშესანიშნაობებს. მათზე განსაკუთრებით შთაბეჭდილება მოახდინა ირკუტსკჰესის წყალსაცავმა, რომელსაც 66 კილომეტრზე უზარმაზარ „ზღვად“ შეუგუბებია ანგარა.

დადგა ლაშქრობის დაწყების დღე. 7 ბაიდარი შეცურდა მდინარეში და დინებამ ისინი მალე სწრაფად წაიღო ჩრდილოეთისაკენ: ქალაქი თვალს მიეფარა, ირგვლივ მხოლოდ ტყე იყო გადაშლილი. ზოგჯერ შემხვედრი სამდინარო გემი თუ დაარღვევდა მათ მყუდროებას.

საღამოობით, როცა მდინარის ნაპირას ბანაკს აწყობდნენ, ტურისტებს მოსვენებას არ აძლევდა კოღო და მუმლი. მათი საწინააღმდეგო სითხე, რომლის სხეულზე წასმის შემდეგ ამ პარაზიტებს საზრდოს მოპოვების სურვილი ეკარგებათ, ირკუტსკში დარჩათ, ამიტომ ცდილობდნენ, რაც შეიძლება დროულად ამოეტანათ მდინარიდან ნავები, მოეწყოთ კარვები, მოემზადებინათ ვახშამი და დასასვენებლად მოწყობილიყვნენ. თუმცა ნადირობისა და თევზაობის მოყვარულები არად აგდებდნენ აბეზარ მწერებს და მარაგს ახალი პროდუქტით ავსებდნენ.

# ანგარაზე

უცნაური ამინდი შეხვდათ ჩრდილოეთისაკენ მიმავალებს. მთელი დღის ჯოჯოხეთური სიცხის შემდეგ ყოველდღე წვიმდა, ხოლო საღამოობით სამხრეთისაკენ მქროლი ქარი საგრძნობლად აფერხებდა ნორმალურ სვლას.

„მუხთალი“ მდინარე წყალქვეშა კუნძულებით და ჩქერებით არაერთხელ შეეცადა თავისი ძალა ეჩვენებინა ქართველი სპორტსმენებისათვის, მაგრამ ირკუტსკელი ამხანაგების დახმარება, მათ მიერ შეთავაზებული „ლოცმანის რუკა“, რომელზეც დეტალურად იყო აღნიშნული მდინარის ყველა სახიფათო ადგილი, ორიენტირების საშუალებას აძლევდა ტურისტებს.

გზის ნახევარი უკან დარჩა. ბაიდარები შევიდნენ ტაიგის ზონაში, გახშირდა აბეზარი მწერების შემოსევა. შუა მდინარეშიც კი ხშირად საჭირო ხდებოდა სახეზე მარლის ნიღბების ჩამოფარება.

გამოჩნდა ბრატსკის მიდამოები, ტყეს შესეული ადამიანები, რომლებიც ენერგიულად ჩეხდნენ ცადაშოტილ ნაძვებს, რათა ტყის ეს ძვირფასი სიმდიდრე მომავალი წყალსაცავის ფსკერზე არ დარჩენილიყო.

მხიარული შეძახილებით ესალმებოდნენ ტყის მცველები მამაც სპორტსმენებს — ადამიანებს, რომლებმაც პირველად განახორციელეს ამ ძნელი მარშრუტის დაძლევა და ცხადყვეს, რომ არც ისე ძნელი ყოფილა ამ შმაგი და ცივი მდინარის დამორჩილება. ანგარამაც თითქოს იგრძნო ეს, ბრატსკის მისადგომებთან სისწრაფეს უკლო და ჩქერები წყნარმა დინებამ შეცვალა. მდინარე დანებდა.

ხანგრძლივი ლაშქრობის შემდეგ გამოჩნდა ქალაქი ბრატსკი — უკანასკნელი პუნქტი. მიზანი მიღწეული იყო. უკან დარჩა 620 კილომეტრი.

როცა ტურისტები ბრატსკის მიწაზე გადავიდნენ, ადგილობრივმა ფიზკულტურელებმა მამაც მოლაშქრეებს ბრწყინვალე გამარჯვება მიულოცეს.

დამთავრდა ანგარის „დაპყრობა“. სპორტსმენებმა გეზი თბილისისაკენ აიღეს.

**ი. სულიაშვილი,**
ლაშქრობის უფროსი.

* * *



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — ანგარაზე ლაშქრობის მონაწილენი არემონტებენ ნავებს. ქვევით — ბაიდარებით ანგარაზე.

## უცხოეთის ფეხბურთის მოედნებზე

### იუგოსლავია — ავსტრია

ვენაში, ავსტრიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების თამაშს 65 ათასი მაყურებელი დაესწრო. თამაშის პირველი ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით აღინიშნა რომლებმაც ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს: ჰაპელმა (მე-7 წუთზე), ნინაუსმა (მე-18 წუთზე) და კიორნერმა (25-ე წუთზე). იუგოსლაველებმა შეძლეს მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა (ვესელინოვიჩმა 31-ე წუთზე).

მეორე ნახევარში უპირატესობა მთლიანად იუგოსლაველთა მხარეს გადავიდა. 62-ე წუთზე მუიჩმა ანგარიში გაზარდა ორამდე, ხოლო ექვსი წუთის შემდეგ იმავე ვესელინოვიჩმა გაათანაბრა ანგარიში. გადამწყვეტი ბურთი ავსტრიელთა კარში გაიტანა მარცხენა გარემარბმა ზებეცმა. მატჩი მოიგეს იუგოსლაველებმა — 4:3.

გუნდები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: **ავსტრია** — შმიდი, ჰალა, ჰაპელი, სვობოდა, კოლერი, ბარშატდი, ჰორაკი, ბუზეკი (ჰამერლი), კიორნერი, ნინაუსი, **იუგოსლავია** — სტრიანოვიჩი, ბელინი, ცრინკოვიჩი, შიაკოვიჩი, შანტეკი, კალოპეროვიჩი, ლიპოშინოვიჩი, მუიჩი, ვესელინოვიჩი, ოგნიანოვიჩი, ზებეცი.

ჭაბუკთა გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა — 1:0, ხოლო მეორე ნაკრებთა მატჩში — ავსტრიელებმა — 5:3.

### გდრ — რუმინეთი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების შეხვედრებში უპირატესობა გერმანელთა მხარეს იყო. პირველმა ნაკრებმა მოუგო რუმინეთის გუნდს — 3:2, მეორე ნაკრებმა — 1:0, ახალგაზრდულმა ნაკრებმა — 1:0 და ჭაბუკთა გუნდმა — 2:0.

### უნგრეთი — პოლონეთი

ვარშავაში ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები. უნგრელებმა თამაშის მსვლელობაში გაიტანეს ოთხი ბურთი და მოიგეს მატჩი ანგარიშით — 3:1. ბურთები გაიტანეს ბუდაიმ, ტიხიმ, ჩორდაშმა და კარპატიმ — საკუთარ კარში.

მეორე ნაკრებების შეხვედრაში გაიმარჯვეს პოლონელებმა — 2:0, ახალგაზრდული ნაკრებების მატჩში — უნგრეთმა — 6:2. ჭაბუკებმა კი ითამაშეს ფრედ 1:1.

## ყოველი მხრიდან

⊙ **ვენა.** ავსტრიის სპორტული წრეები შეშფოთებას გამოთქვამენ ოლიმპიური ჩემპიონის ტ. ზაილერის ახალი გადაწყვეტილების გამო, რომელიც საფრთხეში აგდებს მის ცხოვრებას. ზაილერს განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს ავტომობილისტთა შეჯიბრებაში, რომელიც გაიმართება ქალაქ ნიურბურგრინგში.

⊙ **რენო.** აქ გაიმართა ქვემძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელი სპორტსმენები ა. მური და ჰ. კინგი. 10-რაუნდიანი ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ.

⊙ **ლოზანა.** ნიჩბოსანთა საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე ჰ. მუელეგი მოჰყვა საჰაერო კატასტროფაში და დაიღუპა.

⊙ **პარიზი.** საფრანგეთში კატასტროფიულ ფორმებს იღებს მოკრივეთა ლტოლვა პროფესიონალიზმისაკენ. უკანასკნელ ხანებში 118 მოყვარული გადავიდა პროფესიონალთა რიგებში. ფრანგული საზოგადოებრიობა განსაკუთრებით განიცდის რეიტელის (მჩატე წონა), ჰაშასის (მსუბუქი წონა), ვინოს (საშუალო წონა) და შილერის (მძიმე წონა) გადასვლას პროფესიონალებში.

## 100 კილომეტრზე მორბენლები

— არის თუ არა მარათონული დისტანცია (42 კმ და 195 მ) მორბენლის ყველაზე ძნელი გამოცდა, თუ არსებობს უფრო გრძელი დისტანციაც? — ასეთი შეკითხვით მიმართეს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციას მკითხველებმა.

აი რა უპასუხა რედაქციამ:

მექსიკის მთებში არის ინდიელთა მცირერიცხოვანი ტომი — ტარახუმარა. თვით ეს სახელწოდება ნიშნავს „სწრაფ მორბენალს“. ტარახუმარას სხვა ზედმეტი სახელებიც აქვს შერქმეული: „მთის ფრინველები“, „ქართა მძლეველები“, რაც კარგად უსვამს ხაზს ამ ტომის მცხოვრებთა სისწრაფესა და ამტანიანობას.

ტარახუმარას ტომს დღემდე შემორჩენია ტრადიციად სპორტული სანახაობების მოწყობა, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს სირბილი 265 კილომეტრზე! ეს შეჯიბრება შეუწყვეტლად გრძელდება დღე-ღამის განმავლობაში და მის შედეგს მოთმინებით უცდის დიდძალი მაყურებელი. რბენაში ორი გუნდი მონაწილეობს ოთხ-ოთხი კაცის შემადგენლობით, რომელთაგან ერთ-ერთი — გუნდის ხელმძღვანელია. ეს უკანასკნელი სირბილის დროს წინ ისვრის ხის პატარა ბურთს, რომელსაც მას შეჯიბრების დაწყების წინ შეჯიბრების მთავარი არბიტრი — ტარახუმარას ტომის უხუცესი აძლევს და მისი დაცემის ადგილისაკენ მირბის. გუნდის დანარჩენი წევრები მას ეხმარებიან ბურთის ძებნაში, რომელიც ხშირად იკარგება ბალახებში, ქვებსა და ორმოებში. ბურთის აღების შემდეგ ხელმძღვანელი კვლავ ისვრის მას და წინ გარბის. ასე გრძელდება 265 კილომეტრის მანძილზე, რომელსაც მორბენლები საშუალოდ 27 საათსა და რამდენიმე წუთს უნდებიან.

მრავალი წლის განმავლობაში ტარახუმარას ეს ამბები მითად ითვლებოდა, მაგრამ მალე აღმოჩნდნენ თვითმხილველებიც და მექსიკის მძლეოსნური კავშირიც საქმეში ჩაება. ტარახუმარას ინდიელთა ერთი ჯგუფი მთებიდან მეხიკოში იქნა ჩამოყვანილი, სადაც მათ მონაწილეობა მიიღეს 100 კილომეტრზე რბენაში. გამარჯვებული გამოვიდა ინდიელი მორბენალი თომას ზაფირო, რომელმაც დისტანცია 9 საათსა და 37 წუთში დაფარა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები რედაქტორის 8—89—62, მდივნისა და განყოფილებების 8—90—34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06436